პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 130 (4640)

1972 წ. 5 ივლისი, ოთხშაბათი. ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ტურისტული ბილიკები აძლიერებს ამეგობრებს

## ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობა

ასეთია დევიზი აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს ტურისტთა შეკრებისა, რომელიც ყოველწლიურად მორიგეობით ტარდება ამ მოძმე რესპუბლიკებში. პირველი ღონისძიება, რომლის თაოსანი და ორგანიზატორი „სპარტაკის" საქართველოს საბჭო იყო, ამ ოთხი წლის წინ გაიმართა.

წლეულს სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ შეკრებას სომხეთი მასპინძლობდა. მეზობელი რესპუბლიკების ტურისტული ბილიკები სტეფანავანის რაიონის სოფელ გერგერში შეერთდა. პროგრამა იმით იყო საინტერესო, რომ საუკეთესონი ცალ-ცალკე და კომპლექსურად ვლინდებოდნენ როგორც ტურისტული მრავალჭიდის ცალკეულ სახეობებში, ისე მხატვრულ თვითმოქმედებაშიც. გარდა ამისა, დამატებით ქულებს იმსახურებდა კოლექტივი, რომელიც შეკრებაზე ყველაზე მეტი მონაწილით წარსდგებოდა.

ჩვენი რესპუბლიკის ტურისტებს (ისინი თბილისელები იყვნენ) თავი არც ამ ასპარეზობაში შეურცხვენიათ. ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოსა და № 2 მექანიკური ქარხნის წარგზავნილებმა შესაბამისად I და II ადგილები მოიპოვეს ესტაფეტაში, ყიატორებმა ორიენტირებაში და მხატვრულ თვითმოქმედებაში იმარჯვეს. თამბაქოს № 2 ფაბრიკის ფიზკულტურელები თვითმოქმედებაში მეორენი იყვნენ, ორიენტირებაში კი III ადგილი დაიკავეს.

წარმატება კომპლექსურ ჩათვლაშიც საქართველოს ტურისტებს ხვდათ. მასპინძლები II ადგილზე გავიდნენ, ხოლო აზერბაიჯანის წარმომადგენლები — III.

როგორც „სპარტაკის" რესპუბლიკური საბჭოს კადრებისა და საორგანიზაციო-მასობრივი მუშაობის განყოფილების გამგემ შ. კულულაშვილმა გვითხრა, მომავალი შეკრება ჩვენს რესპუბლიკაში მოეწყობა.

თ. ბაჩეჩილაძე.



## ახალი კომპლექსის პირველი ლაურეატები

„მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" ახალი საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსის პირველი, თანაც ოქროს სამკერდე ნიშნები გაიცა. ეს მოხდა 3 ივლისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტში.

— ჩვენ დიდი პატივი გვხვდა წილად, რომ ძვირფასი ფიზკულტურული სამკერდე ნიშანი სხვებზე ადრე მივიღეთ, — თქვა მოსკოველთა ჯგუფის სახელით ნ. კოვალ-პეტრენკომ, საფეიქრო ინსტიტუტის დოცენტმა, ომამდელი წლების ჩემპიონმა ქალმა „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" კომპლექსის მრავალჭიდში. — ახალი კომპლექსი მასობრივი ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების დიდი სტიმულია.

სსრ კავშირის სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ ს. პავლოვმა მიულოცა „პირველდამპყრობთ". მან ოქროს სამკერდე ნიშნები გადასცა, აგრეთვე, სოციალისტური შრომის გმირს, № 40 პროფტექნიკური სასწავლებლის საწარმოო სწავლების ოსტატს ვ. ფილიპოვს, მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს ი. ლოპუხინს, № 5 პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლე ვ. ბირიუკოვს, კომუნისტური შრომის დამკვრელს, სალოკომოტივო დეპოს ზეინკალ მ. იზორჩენკოვსა და სხვებს.

—კომპლექსის ნორმატივების ჩასაბარებლად მზადების დროს მე და ჩემმა ამხანაგებმა უკეთ შევისწავლეთ ჩვენი შესაძლებლობანი, კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ ფიზკულტურა და სპორტი ძალიან გვეხმარება წარმატებით შრომაში, — თქვა ლენინური კომკავშირის სახელობის ავტოქარხნის კომუნისტური შრომის დამკვრელმა, ზეინკალმა ა. ჟურავლიოვმა. — ქარხნის ყველა ფიზკულტურელის სახელით პირობას ვდებ, რომ ჩვენს საწარმოში ახალ კომპლექსს ზრუნვა და ყურადღება არ მოაკლდება.

ამავე დღეებში კომპლექსის სამკერდე ნიშნების გადაცემა ყველა მოძმე რესპუბლიკაში მოეწყობა. პირველ ლაურეატთა მაგალითს მიბაძავს ქვეყნის ფიზკულტურელთა მრავალმილიონიანი არმია, რომელიც წარმატებით აბარებს ახალი კომპლექსის — ჯანმრთელობის, სიმამაცისა და სრულყოფის კომპლექსის ნორმატივებს.

## შაორის ზღვაზე

ამას წინათ ქუთაისის პროფსაბჭომ და „განთიადის" საქალაქო საბჭომ მოაწყვეს გუნდური პირველობა ტურისტულ მრავალჭიდში. შეჯიბრება საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავს მიეძღვნა.

ტურისტებმა გეზი აიღეს ამბროლაურის რაიონის სოფელ ხარისთვალისკენ. შაორის ზღვის მიდამოებში გაიმართა შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობდნენ აბრეშუმის კომბინატის, მე-4 სამშენებლო ტრესტის, 1-ლი და მე-2 სამკერვალო გაერთიანებების, ლითოგრაფიის, საავტომობილო, ელექტრომექანიკური, სატრაქტორო ქარხნების, ფეხსაცმლის კომბინატის, მაუდის, ბამბეულის საქსოვი, ავეჯისა და ტრიკოტაჟის ფაბრიკების კოლექტივები. შეჯიბრების პროგრამაში იყო 1000 მეტრზე კროსი წინაღობათა დაძლევით, კარვის გაშლა და კოცონზე წყლის ადუღება. სიძლიერის მიხედვით გუნდები ორ ჯგუფად დაიყვნენ.

პირველ ჯგუფში დამსახურებული გამარჯვება მოიპოვეს აბრეშუმის კომბინატის კარგად მომზადებულმა ტურისტებმა. II ადგილზე გავიდნენ 1-ლი სამკერვალო გაერთიანების წარმომადგენლები, III — მე-4 სამშენებლო ტრესტის ტურისტები.

მეორე ჯგუფში უძლიერესნი იყვნენ მაუდის ფაბრიკის წარმომადგენლები. II ადგილზეა ბამბეულის საქსოვი ფაბრიკის გუნდი, ხოლო III-IV ადგილები გაიყვეს მე-2 სამკერვალო გაერთიანებასა და ავეჯის ფაბრიკის სპორტსმენებმა.

შეჯიბრების მაღალ დონეზე ჩატარებაში წვლილი შეიტანეს ტურიზმის ინსტრუქტორებმა ა. ფხაკაძემ, ს. კიშიბაძემ, ჟ. კოსტავამ, ბ. ჭიჭინაძემ, ვ. მიქაძემ, მ. ხვისტანმა, ა. მიქაბერიძემ, ჯ. ხარაიძემ, ა. თორთლაძემ, ც. მეგენეიშვილმა...

ლ. ფაჩუაშვილი,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

• • •

სურათებზე: ზევით — კარვის გაშლისა და წყლის ადუღების მომენტი; ქვევით — ტურისტები ერთობიან ფრენბურთის თამაშით.

ავტორის ფოტო.





## სამკერდე ნიშნები — ველომარათონის მონაწილეებს

3 ივლისს მოსკოვში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარემ ს. პავლოვმა „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" ახალი კომპლექსის სამკერდე ნიშნები გადასცა მრავალდღიანი ველოგადარბენის მონაწილეებს. გადარბენა მარშრუტით ბარნაული — სოფელი ზავიალოვი — მოსკოვი სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს მიეძღვნა. თერთმეტმა ახალგაზრდა ალტაელმა სპორტსმენმა (მათ შორის სამი ქალი იყო) სტარტი მაისის ბოლოს აიღო. მათ 22 დღეში 5 ათასამდე კილომეტრი დაფარეს, გაიარეს ქალაქები პავლოდარი, ომსკი, პეტროპავლოვსკი, კურგანი, ჩელიაბინსკი, უფა, ყაზანი, ჩებოქსარი, გორკი და ვლადიმირი.

გადარბენა მოაწყვეს გაზეთმა „კომსომოლსკაია პრავდამ", ალტაის კომკავშირის სამხარეო კომიტეტმა და „უროჟაის" სამხარეო საბჭომ.

გადარბენის მონაწილენი გზად პროპაგანდას უწევდნენ ახალ კომპლექსს, ზოგჯერ კი თვითონ იყვნენ შეჯიბრების მსაჯებიცა და მდივნებიც.

## ახალი ამბები-72

● რონებიუ, 3 ივლისი. ტრამპლინიდან წყალში ხტომაში „შვეციის თასის" ინტერნაციონალური გათამაშების ლაურეატები გახდნენ მასპინძლები — შვედი სპორტსმენები ულრიკა კნაპე და ტორდ ანდერსონი — შესაბამისად 406,40 და 453,75 ქულა. საბჭოთა სპორტსმენთაგან (შეჯიბრებაში 10 ქვეყნის წარგზავნილები მონაწილეობდნენ) საუკეთესო შედეგს მიაღწია ერევნელმა დავიდ ამბარცუმიანმა — VI ადგილი (364,10 ქულა).

## [illegible]

დმიტროვი, 3 ივლისი. მოსკოვის მახლობლად მდებარე ამ ქალაქის ავტოპოლიგონზე ლენინური კომკავშირის სახელობის საავტომობილო ქარხნის მრბოლელებმა საკავშირო რეკორდებს შეუტიეს.

შეჯიბრების პირველ დღეს ლონდონ — სიდნეისა და ლონდონ—მეხიკოს ზემარათონული გადარბენების, აგრეთვე, 1971 წლის „ევროპის ტურის" მონაწილემ, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ი. ლესოვსკიმ „მოსკვიჩ-412"-ით 500-კილომეტრიან რბოლაში საათში საშუალოდ 177,82 კმ სიჩქარე განავითარა. ეს შედეგი გაცილებით აღემატება საკავშირო რეკორდის დამყარების ამოსავალ ნორმატივს 2000 კბ სმ-მდე მოცულობისძრავიანი ავტომობილების კლასში.

იმავე „მოსკვიჩ-412"-ზე დადგეს 1500 კბ სმ-მდე მოცულობის ძრავა. ამ კლასში ი. ლესოვსკიმ და სსრ კავშირის ორგზის ჩემპიონმა ნ. შევჩენკომ სარეკორდო ნორმატივებს შეუტიეს 1000-კილომეტრიან დისტანციაზე და ექვსსაათიან რბოლაში. ორივე ნორმატივი გადამეტებული იქნა: ექვსსაათიან სერიაში საშუალო სიჩქარე საათში 163,72 კილომეტრს უდრიდა, ხოლო 1000-კილომეტრიან დისტანციაზე — 163,79-ს.

## საორგანიზაციო კომიტეტი მუშაობას შეუდგა

დღეს ლუჟნიკის სპორტის სასახლე ხარემონტოდ დაიკეტება, რათა 1973 წლის მარტსა და აპრილში უკეთ მომზადებული შეხვდეს ჰოკეისტთა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატს. ეს ითქვა 3 ივლისს მომავალი ტურნირის საორგანიზაციო კომიტეტის პირველ სხდომაზე. სხდომის მუშაობას წარმართავდა მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ვ. ისაევი.

როგორც განზრახულია, ჰოკეისტები ჩემპიონატის დროს სასტუმრო „უკრაინაში" იცხოვრებენ, ჟურნალისტები კი სასტუმრო „სპუტნიკში", ლენინის პროსპექტზე.

ხარემონტო სამუშაოები ჩატარდება „სოკოლნიკის" საციგურაოზე, სადაც ჩემპიონატის დროს გუნდებს წვრთნის საშუალება ექნებათ.

როგორც „ინტურისტის" წარმომადგენელმა განაცხადა, ჰოკეისტთა ჩემპიონატზე ბევრ უცხოელ სტუმარს ელიან, განსაკუთრებით იმ ქვეყნებიდან, რომელთა გუნდებიც მოსკოვში გამოდიან — ჩეხოსლოვაკიიდან, შვეციიდან, ფინეთიდან, პოლონეთიდან და დასავლეთ გერმანიიდან.

ვარაუდობენ, რომ შეჯიბრებას დაესწრება 400-მდე საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტი.

[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სპორტული ივლისი

ზაფხულის მეორე თვე ბევრ საინტერესო შეჯიბრებას გვპირდება. გთავაზობთ მათგან უმთავრესს.

### აკადემიური ნიჩბოსნობა

6-9. სსრ კავშირის თასი ვაჟთა შორის (მოსკოვი).
7-9. საერთაშორისო შეჯიბრება — „ლიუცერნის რეგატა“ (შვეიცარია).
13-15. სსრ კავშირის ქალთა ჩემპიონატი (მოსკოვი).
19-23. სსრ კავშირის ვაჟთა ჩემპიონატი (მოსკოვი).
22-23. საერთაშორისო შეჯიბრება — „კოპენჰაგენის რეგატა“ (დანია).

### აფროსნობა

5-9. საერთაშორისო შეჯიბრება — „ჰელსინკის რეგატა“ (ფინეთი).
9-16. საერთაშორისო შეჯიბრება — „ბალტიის ზღვის ქვეყნების კვირეული“ (გდრ).
16-24. სსრ კავშირის ჭაბუკთა პირველობა (ნიკოპოლი).
23-31. სსრ კავშირის ჩემპიონატი (რიგა).

### ბადმინტონი

5-9. გოგონათა და ჭაბუკთა საკავშირო პირველობა (ლენინგრადი).

### ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობა

21-23. გოგონათა და ჭაბუკთა საკავშირო პირველობა (ტერნოპოლი).
22-23. საერთაშორისო შეჯიბრება (უნგრეთი).
29-30. საერთაშორისო შეჯიბრება (დანია).

### ბალახის ჰოკეი

29. VII.-6. VIII. სსრ კავშირის ჩემპიონატის ფინალი (ალმა-ათა).

### ველოსპორტი

5-8. ქალთა საკავშირო მრავალდღიანი ველორბოლა (ლატვია).
5-9. საერთაშორისო შეჯიბრება გზატკეცილზე — „იუგოსლავიის ტური“ (იუგოსლავია).
5-10. საერთაშორისო შეჯიბრება ტრეკზე (დანია).
5-6. საერთაშორისო შეჯიბრება სპრინტში — „გდრ-ის დიდი პრიზი“ (გდრ).
8-12. სსრ კავშირის ჩემპიონატი საგზატკეცილო გუნდურ რბოლაში (ვილნიუსი).
13-15. სსრ კავშირის ქალთა ჩემპიონატი ტრეკზე და ვაჟთა საკავშირო შეჯიბრება (ტულა).
20-23. სსრ კავშირის ჩემპიონატი ჯგუფურ რბოლაში (ვილნიუსი).
24-27. სსრ კავშირის ვაჟთა ჩემპიონატი ტრეკზე (ლიეპაია).
29. VII.-2. VIII. ქალთა მსოფლიო ჩემპიონატი ტრეკზე (საფრანგეთი).

### თავისუფალი ჭიდაობა

4-9. ევროპის იუნიორთა პირველობა (იუგოსლავია).

### თანამედროვე ხუთჭიდი

6-10. სსრ კავშირის ჩემპიონატი (მოსკოვი).
22-26. საერთაშორისო შეჯიბრება (მინსკი).

### კალათბურთი

15-23. ევროპის იუნიორთა პირველობა (იუგოსლავია).

### კლასიკური ჭიდაობა

5-9. ევროპის იუნიორთა პირველობა (იუგოსლავია).

### კრივი

18-23. ჭაბუკთა საკავშირო პირველობა (ბარნაული).
25-31. რკინიგზელთა საერთაშორისო სპორტული კავშირის ჩემპიონატი (ლვოვი).

### მთამსვლელობა

5. VII.-8. VIII. სსრ კავშირის ჩემპიონატი და საერთაშორისო ალპინიადა, მიძღვნილი სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისადმი (პამირი).

### მშვილდოსნობა

8-9. საერთაშორისო შეჯიბრება (პოლონეთი).
22-23. ევროპის ჩემპიონატი (ლუქსემბურგი).

### მძლეოსნობა

9. სსრ კავშირის ჩემპიონატი მარათონულ რბენასა და სპორტულ სიარულში (ნოვგოროდი).
16-20. სსრ კავშირის ჩემპიონატი (მოსკოვი).
28-29. აშშ-სა და სსრ კავშირის იუნიორთა ნაკრები გუნდების მატჩი (აშშ).

### სამბო

15-18. ჭაბუკთა საკავშირო შეჯიბრება (კურსკი).

### სამოტოციკლო სპორტი

23. მსოფლიო ჩემპიონატი (გუნდური) წიდოვან ბილიკზე რბოლაში. ნახევარფინალი (ლენინგრადი).
23. მსოფლიო ჩემპიონატი კროსში „500-ანების“ კლასში. X ეტაპი (გდრ).

### სასტენდო სროლა

12-17. საერთაშორისო შეჯიბრება — „ბალტიის ზღვის ქვეყნების კვირეული“ (გდრ).

### საცხენოსნო სპორტი

5-7. ჭაბუკთა საკავშირო პირველობა წინაღობათა გადალახვაში (მოსკოვი).
8-14. სსრ კავშირის ჩემპიონატი ცხენის გაწვრთნასა და წინაღობათა გადალახვაში (მოსკოვი).

### ფარიკაობა

5-8. სოციალისტური ქვეყნების სპორტსმენთა საერთაშორისო შეჯიბრება (პოლონეთი).
19-28. სსრ კავშირის ჩემპიონატი (ტალინი).

### ფეხბურთი

16. ფინეთისა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდების მატჩი (ფინეთი).
19-27. ევროპის პირველობა სტუდენტთა შორის (რუმინეთი).

### ფრენბურთი

13-17. ქალთა გუნდების საერთაშორისო შეჯიბრება — „ოლიმპიური კვირეული“ (გფრ).
19-20. ვაჟთა გუნდების საერთაშორისო შეჯიბრება (პოლონეთი).
22-27. ვაჟთა გუნდების საერთაშორისო შეჯიბრება (ლენინგრადი).

### შაში

5-15. სსრ კავშირის თასი (ჩერნოვცი).

### ჩოგბურთი

19. VII-1. VIII. გოგონათა და ჭაბუკთა საკავშირო პირველობა (კალინინგრადი).
21-23. დევისის თასის გათამაშების ევროპული „ა“ ზონის ფინალი (თბილისი).

### ძიუდო

15-18. ჭაბუკთა საკავშირო პირველობა (კურსკი).
17-21. სტუდენტთა მსოფლიო პირველობა (ინგლისი).

### წყალბურთი

17-22. გდრ-ისა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდების შეჯიბრება (გდრ).

### წყალში ხტომა

5-7. საერთაშორისო შეჯიბრება (ფინეთი).
22-23. გოგონათა და ჭაბუკთა საკავშირო პირველობა (წახკაძორი).
22-25. სსრ კავშირის ჩემპიონატი (ლვოვი).

### ჭადრაკი

4. VII-3. IX. ვაჟთა მსოფლიო ჩემპიონატი. ბ. სპასკი (სსრ კავშირი) — რ. ფიშერი (აშშ). რეიკიავიკი (ისლანდია).
13. VII-2. VIII. მსოფლიოს სტუდენტთა გუნდური პირველობა (ავსტრია).

რესპუბლიკური უნივერსიადა

## მომავალმა ინჟინრებმა...

საქართველოს უნივერსიადის დებულებით, მძლეოსნობაში კოლექტივებს ჩათვლას აძლევდნენ ის სპორტსმენები, რომლებიც პირველი თანრიგის ნორმატივს მაინც შეასრულებდნენ. რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების ფიზკულტურული კოლექტივების უმეტესობას ეს პირობა მეტისმეტად ემძიმა. ამიტომ თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე გამართულ ბრძოლაში მხოლოდ თბილისის უნივერსიტეტის, საქართველოს პოლიტექნიკური და ფიზკულტურის ინსტიტუტების კოლექტივები ჩაებნენ (უმაღლესი სასწავლებლების რესპუბლიკური ტურნირი მასობრივი თანრიგების სპორტსმენთა მონაწილეობით ამ შემოდგომაზე გაიმართება).

თითოეული გუნდი, დიდი-დიდი, 24 სპორტსმენით უნდა დაკომპლექტებულიყო (მათ შორის 8 ქალი უნდა ყოფილიყო). შეჯიბრებისთვის ყველაზე უკეთ მოემზადნენ მომავალი ინჟინრები, რომლებმაც საბოლოოდ 23 ჩათვლა მიიღეს, 190 ქულა მოაგროვეს, I ადგილი დაიკავეს და პროფკავშირული კოლექტივებისა და სპორტკლუბების სპარტაკიადაში მონაწილეობის უფლებაც მოიპოვეს II ადგილზეა უნივერსიტეტის ნაკრები.

თუ უნივერსიადაში გამარჯვებულ მძლეოსან ვაჟთა შედეგები ასე თუ ისე დამაკმაყოფილებელი იყო, ქალებზე ამას ვერ ვიტყვით. ამ მხრივ გამონაკლისნი ისევ პოლიტექნიკური და ფიზკულტურის ინსტიტუტების გუნდის წევრები გახლდნენ. თ. კლდიაშვილმა, რომელმაც 100 მეტრზე თარჯრბენი (14,2) და ხუთჭიდი (3891 ქულა) მოიგო, ხუთჭიდში ასპარეზობისას თარჯრბენში სპორტის ოსტატის ნორმატივის შესაბამისი შედეგი (14,0) აჩვენა. მომავალი ინჟინრების ქალთა გუნდიდან ასევე პირველი თანრიგის შედეგებით გამარჯვეს: გ. ბერიამ — ბადროს ტყორცნაში — 45,88 (პირადი რეკორდი), ე. პავლოვამ — ბირთვის კვრაში — 13,54, დ. საბაურმა — შუბის ტყორცნაში — 44,74... ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდის წევრმა მ. ალიაკრინსკაიამ სპორტის ოსტატის ნორმატივის შესაბამისი სიმაღლე (170 სმ) გადალახა, რის შემდეგაც საქართველოს რეკორდის გაუმჯობესება განიზრახა — 176 სმ სიმაღლეს შეუტია, მაგრამ მიზანი განუხორციელებელი დარჩა.

ვაჟთა შეჯიბრებაში მომავალ ინჟინრებს სპრინტში აშკარა უპირატესობა ჰქონდათ: 100 მეტრზე რბენაში სამივე საპრიზო ადგილი დაიკავეს (გ. ქავთარაძე — 10,7, ს. სვისტელნიკოვი და ვ. კაკაურიძე — 10,8), 200, 400 და 800 მეტრზე რბენაში კი I და II ადგილები არავის დაუთმეს. 200 მეტრზე ი. ვაშალომიძემ და სვისტელნიკოვმა ერთნაირი დრო (22,5) აჩვენეს. 400 მეტრზე ვაშალომიძემ (49,6) თანაგუნდელ რ. არმეგონაშვილს 0,7 წამი მოუგო, 800 მეტრზე რბენაში კი ეს უკანასკნელი (1.57,4) თანაგუნდელ გ. შოშიაშვილს (1.56,8) ჩამორჩა. შოშიაშვილი უძლიერესი იყო 1500 მეტრზეც — 3.55,0. II ადგილზეა ბ. ქავზინაძე (უნივერსიტეტი) — 3.57,0, III — გ. სუფაცარია (ფიზკულტურის ინსტიტუტი) — 4.01,0.

პოლიტექნიკოსთა გამარჯვებით დამთავრდა, აგრეთვე, ბადროს მტყორცნელთა შეჯიბრება. აქ უძლიერესი აღმოჩნდა ნ. ნაზღაიძე (52,56), ჯ. მჭედლიძემ კი 50,02 აჩვენა.

ამ შეჯიბრებაში, თუ შეიძლება ასე ითქვას, უნივერსიტეტის სტუდენტთა სახეობები იყო სიმაღლეზე ხტომა, სადაც ბ. პრესნოვმა 205, ხოლო ა. შუბინმა 190 სმ დაძლიეს, სიგრძეზე ხტომა, სადაც გაიმარჯვა ვ. ჩუკანოვმა (740), სამხტომი, რომელშიც ყველას მ. ფრიდმანმა (15,28) აჯობა და ბირთვის კვრა. აქ მ. ოყრომიძის შედეგია 17,60, ვ. მაისურაძისა კი 16,74. აღსანიშნავია ლ. ხმელიძის (სპი) წარმატებაც. ხმელიძემ (მწვრთნელი ვ. შმაკოვი) ამას წინათ „იზვესტიის“ პრიზის საქალაქო ტურნირში ჭაბუკთა რესპუბლიკური რეკორდი დაამყარა (16,27), ახლა კი III ადგილზე გავიდა და თავისივე რეკორდამდე 6 სმ დააკლდა.

გთავაზობთ სხვა ტექნიკურ შედეგებს, რომლებითაც მძლეოსნებმა თავიანთ კოლექტივებს ჩათვლები მისცეს. თარჯრბენი. 110 მ. ზ. თავბერიძე (სპი) — 15,2, პ. კოვზირიძე (უნივერსიტეტი) — 15,6; 400 მ. შ. მოშიაშვილი (ფიზკულტურის ინსტიტუტი) — 54,4, თავბერიძე — 55,6. 20 კმ-ზე სპორტული სიარული. ო. გულიევი — 1:41.10,0, ა. ბერიძე — 1:42.36,0. ჭოკით ხტომა. ვ. ამოსოვი (ყველა — ფიზკულტურის ინსტიტუტი) — 425. ესტაფეტა. 4×100 მ. სპი — 43,1, უნივერსიტეტი — 43,5; 4×400 მ. სპი — 3.23,2. ათჭიდი. ი. რიმარი (სპი) — 6133 ქულა.

უნივერსიტეტის ნაკრებს მომავალ ინჟინრებთან ასე აშკარად, ასე დიდი სხვაობით (93 ქულით) დიდი ხანია არ წაუგია (აღარაფერს ვამბობთ ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდზე, რომელმაც 73 ქულით III ადგილი დაიკავა). მართალია, უნივერსიტეტის კოლექტივში ამჯერად მისი რამდენიმე უძლიერესი წევრი არ იყო, მაგრამ, ჩვენი აზრით, სარბიელზე მათი გამოსვლა გუნდური ბრძოლის შედეგებს ვერ შეცვლიდა.

**რ. მაღრაძე.**

## გაყოფილი ოქროს ჯილდო

მსოფლიოს, ევროპისა და საბჭოთა კავშირის აბსოლუტურმა ჩემპიონმა სპორტულ ტანვარჯიშში, გროზნოელმა ლ. ტურიშჩევამ და ტაშკენტელმა ე. საადიმ ორშაბათს ლუჟნიკის სპორტის სასახლეში, საკავშირო ჩემპიონატის ფინალურ შეჯიბრებაში ოქროს ორ-ორი მედალი მოიპოვეს. ტურიშჩევა პირველი იყო ბჯენით ხტომაში და ორძელზე, საადი კი თავისუფალ ვარჯიშში და დვირზე.

სსრ კავშირის თასის გათამაშების დროს, წინა დღეებში, საკმაოდ მკაფიოდ გამოიკვეთა საბჭოთა ტანმოვარჯიშე ქალების ლიდერთა ჯგუფი. 3 ივლისს, როცა ისინი იარაღებზე ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, ფინალში ოთხოთხჯერ გამოსვლის უფლება მიიღო მთელმა პირველმა ხუთეულმა — კორბუტმა, ტურიშჩევამ, ლაზაკოვიჩმა, ბურდამ და საადიმ. ექვსეულის „ჩამკეტ“ კოშელსაც შეეძლო სამჯერ გამოსულიყო ფიცარნაგზე, მაგრამ შეუძლოდ იყო და უფლება არ გამოიყენა.

ხტომაში ყველას აჯობეს ბურდამ და ტურიშჩევამ (საჭირო იყო ორ-ორი სხვადასხვა ნახტომის შესრულება), მაგრამ ყველაფერი უკეთესმა მარაგმა გადაწყვიტა. როგორც წინადღით, ორძელზე ახლაც ბრწყინვალედ შეასრულა ძალიან თამამი, რთული კომბინაცია უნიკალური ელემენტით (მალაყი ზედა ძელზე) კორბუტმა. მსაჯებმა მას მაღალი შეფასება — 9,7 ქულა მისცეს, თუმცა მეტი გულუხვობაც შეიძლებოდა გამოეჩინათ. ტურიშჩევამ თავის კომბინაციაში ზუსტად გააკეთა სამი „გზრიალა“ და 9,75 ქულა მიიღო. ორძელზე მაღალი კლასი გვიჩვენეს, აგრეთვე, ლაზაკოვიჩმა, ბურდამ, ვორონინამ.

ჩემპიონის ოქროს პირველი მედალი საადიმ დვირზე მოიპოვა. ამ იარაღზე მან ზუსტად შეასრულა რთული კომბინაცია. კორბუტმა ვარჯიშისთვის, რომელშიც უნიკალური მალაყი შედიოდა, სულ 9,4 ქულა მიიღო. ტურიშჩევას ჩამოხტომის დროს კვლავ ხელი მოეცარა.

თასის მფლობელმა კორბუტმა, რომელსაც ალბათ გული დასწყდა ორძელსა და დვირზე მიღებული დაბალი შეფასების გამო, თავისუფალ ვარჯიშზე უარი თქვა. ტურიშჩევას და ლაზაკოვიჩს უხეში შეცდომები მოუვიდათ. კარგად გამოვიდა ახალგაზრდა მოსკოველი ტანმოვარჯიშე ლ. ბოგდანოვა.

საუკეთესოთა სამეულები:

ხტომა. ლ. ტურიშჩევა (გროზნო) — 19,075, ლ. ბურდა (ვორონეჟი) — 19,05, თ. ლაზაკოვიჩი (ვიტებსკი) — 18,9; ორძელი. ტურიშჩევა — 19,4, ო. კორბუტი (გროდნო) — 19,3, ლაზაკოვიჩი — 19,125; დვირი. ე. საადი (ტაშკენტი) — 19,225, კორბუტი — 18,825, ლაზაკოვიჩი — 18,75; თავისუფალი ვარჯიში. საადი — 19,3, ბურდა — 19,2, ლ. ბოგდანოვა (მოსკოვი) — 18,7.

**ვ. დვორცოვი.**
**(საქდესის კორ.).**

მოსკოვი, 3 ივლისი.

## სამი მთავარი პრიზი

**ლონდონი, 3 ივლისი.** ჰენლეის ტრადიციულ რეგატაში საბჭოთა „აკადემიკოს“ ნიჩბოსნებს სამი პრიზი ხვდათ. ყველაზე მთავარი ჯილდო — „დიდი სადღეგრძელო თასი“ მიიღო სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბის რვაადგილიანის ეკიპაჟმა, რომელიც ფინალურ სერიაში ჩრდილო-დასავლეთის უნივერსიტეტის (აშშ) კოლექტივს შეხვდა. საბჭოთა სპორტსმენებმა მეტოქეებს ნავის კორპუსით გაუსწრეს. გამარჯვებულთა შედეგია 6.33,0.

ოლიმპიური ჩემპიონი ორადგილიანი წყვილმოსასმელიანებით შეჯიბრებაში, მოსკოველი ა. ტიმოშინინი წლეულს ერთადგილიანით გამოდის. ამჯერად ფინალში მისი მეტოქე იყო ირლანდიელი ს. დრი, რომელიც დისტანციის სამ მეოთხედზე თანაბარი ძალით ებრძოდა, მაგრამ საფინიშო ბიძგის დროს ველარ გაუმკლავდა მოსკოველს, რომელმაც თითქმის ოთხი კორპუსით გაუსწრო. ტიმოშინინის შედეგია 8.10,0. მას გადაეცა პრიზი „ბრილიანტის ნიჩბები“.

მესამე მთავარი ჯილდო — „კომანდორთა თასი“ — ხვდა სპარტაკელთა უმესაჭო ოთხადგილიანს. ეს სერია არ დამთავრებულა — მოსკოველებს მეტოქეები დისტანციის დასაწყისში დაეჯახნენ და მსაჯებმა კანადის პროვინცია ბრიტანეთის კოლუმბიის უნივერსიტეტის ეკიპაჟს დისკვალიფიკაცია მისცეს.

„ვერცხლის ბოკალების“ გათამაშების ფინალში ახალგაზრდა ლენინგრადელები ნ. ვასილიევი და ვ. პოლიაკოვი, რომლებიც ორადგილიანით გამოდიოდნენ, ჩამორჩნენ მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორებს — პოლონელებს ე. ბრონეცსა და ა. სლიუსარსკის. გამარჯვებულთა დროა 7.59,0. II ადგილზე გასული ლენინგრადელები ორი კორპუსით ჩამორჩნენ.

(საქდესი).

## „იუგოსლავიის ტური“

**ბელგრადი, 4 ივლისი.** 1969 და 1971 წლების „იუგოსლავიის ტურში“ გამარჯვებული საბჭოთა ველოსიპედისტები წლევანდელი რბოლის 3 ეტაპის შემდეგ ლიდერობენ გუნდურ ჩათვლაში — 18:02.34. პოლონელები მათთან 3 წუთს აგებენ, ხოლო იუგოსლაველები — ხუთს. პირად ჩათვლაში დაწინაურდა ტ. კუვალია (იუგოსლავია), რომელმაც მესამე ეტაპზე ნოვი-სადსა და ზვორნიკს შორის 150-კილომეტრიანი მანძილი პირველმა დაფარა და ფინიშზე გაუსწრო მოსკოვის ოლქის წარმომადგენელ ი. ლავრუშკინსა და რიგელ რ. კალნენიექსს. სხვათა შორის, ამ სპორტსმენებს II და III ადგილები უკავიათ 3 ეტაპის ჯამში. ეტაპზე კუვალიას დროა 3:27.47 (ერთი საბონიფიკაციო წუთი), ხოლო 3 ეტაპის შემდეგ მისი დროა 6:00.10, ლავრუშკინს შესაბამისად აქვს 3:27.57 და 6:00.20, კალნენიექსს — 3:28.07 და 6:00.30.

კიდევ ერთი საბჭოთა ველოსიპედისტი — სოჭელი ა. ზახაროვი შევიდა ათეულში — 6:01.40 (VIII ადგილი).

წინა ეტაპებზე გაიმარჯვეს კიშინიოველმა დ. ტრიშინმა, რომელმაც მოიგო ბელგრადის გარშემო რბოლა (28 კმ — 43.23) და იუგოსლაველი ზ. კახლინი. იგი საუკეთესო იყო 73-კილომეტრიან ტრასაზე ბელგრადიდან ნოვი-სადამდე — 1:48.04.

შეჯიბრებაში მონაწილეობს უნგრეთის, ჰოლანდიის, პოლონეთის, რუმინეთის, საფრანგეთის, შვეიცარიის, ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიისა და სსრ კავშირის 75 ველოსიპედისტი.

## თავი აარიდეს

ოჩამჩირის „შრომითი რეზერვების“ სტადიონზე ჩატარდა „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს პირადი პირველობა მძლეოსნობაში 1954-57 წლებში დაბადებულთა შორის.

კარგ შედეგებს მიაღწიეს აფხაზეთის, ზუგდიდისა და ახალციხის წარმომადგენლებმა.

სამწუხაროდ, ასეთ მნიშვნელოვან ტურნირს თავი აარიდეს აჭარის, სამხრეთ ოსეთის, საჩხერის, გარდაბნის, ახმეტის, დუშეთის, თელავისა და ჩოხატაურის კოლექტივებმა.

**რ. ჭედია.**
**(ჩვენი კორ.).**

ოჩამჩირე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიუნხენი-72

## სსრ კავშირის პირველობა

# სტუმრად — ისევ წაგება

3 ივლისს გაიმართა მორიგი ტურის კალენდარული შეხვედრები.

ცენტრალური მატჩი შედგა ტაშკენტში, სადაც ერთმანეთს შეხვდნენ ლიდერები — ადგილობრივი „ფახთაქორი" და ქუთაისის „ტორპედო". უკიდურესად დაძაბული ბრძოლის შემდეგ გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 1:0. ეს ერთადერთი ბურთი 48-ე წუთზე გაიტანა მარცხენა გარემარბმა, 18 წლის ფიოდოროვმა.

სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: „ჩერნომორეცი" (ოდესა) — „კრილია სოვეტოვი" (კუიბიშევი) 5:0, „ნისტრუ" (კიშინიოვი) — „შახტიორი" (ყარაგანდა) 0:0, „კრივბასი" (კრივოი როგი) — „ურალმაში" (სვერდლოვსკი) 3:3, „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) — „ზვეზდა" (პერმი) 2:1, „დინამო" (ლენინგრადი) — „მეტალისტი" (ხარკოვი) 0:0, „ტექსტილშჩიკი" (ივანოვო) — „შინიკი" (იაროსლავლი) 0:3, „სტროიტელი" (აშხაბადი) — „შახტიორი" (დონეცკი) 1:0, „პამირი" (დუშანბე) — „ავტომობილისტი" (ნალჩიკი) 2:0, „ალგა" (ფრუნზე) — „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) 2:1.

## I ლიგა

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 5 ივლისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ფახთაქორი" | 16 | 11 | 3 | 2 | 27—13 | 25 |
| „ჩერნომორ." | 16 | 10 | 4 | 2 | 33—13 | 24 |
| „ტორპედო" | 16 | 10 | 1 | 5 | 26—10 | 21 |
| „შახტ." (დ.) | 17 | 6 | 9 | 2 | 21—10 | 21 |
| „პამირი" | 16 | 8 | 4 | 4 | 22—18 | 20 |
| „ზვეზდა" | 16 | 8 | 4 | 4 | 16—13 | 20 |
| „სპარტაკი" | 17 | 7 | 5 | 5 | 21—19 | 19 |
| „კრ. სოვეტ." | 16 | 4 | 11 | 1 | 16—16 | 19 |
| „შინიკი" | 17 | 7 | 4 | 6 | 15—14 | 18 |
| „ალგა" | 16 | 5 | 7 | 4 | 16—11 | 17 |
| „შახტ." (ყ.) | 16 | 5 | 7 | 4 | 15—12 | 17 |
| „მეტალის." | 17 | 5 | 6 | 6 | 16—17 | 16 |
| „ავტომობ." | 16 | 4 | 7 | 5 | 14—16 | 15 |
| „სტროიტ." | 16 | 5 | 3 | 8 | 17—30 | 13 |
| „მეტალურ." | 16 | 4 | 4 | 8 | 22—23 | 12 |
| „დინამო" | 16 | 3 | 6 | 7 | 11—19 | 12 |
| „კრივბასი" | 16 | 3 | 5 | 8 | 21—32 | 11 |
| „ნისტრუ" | 16 | 3 | 4 | 9 | 10—22 | 10 |
| „ურალმაში" | 16 | 1 | 5 | 10 | 15—26 | 7 |
| „ტექსტილ." | 16 | 1 | 5 | 10 | 10—30 | 7 |

# მესამე შეხვედრაში — 0:7

მოსკოვი, 3 ივლისი. საბჭოთა კავშირში ტურნე დაამთავრა ნიგერიის ჩემპიონმა „მაიტი ჯესმა". მესამე, ბოლო მატჩში მან აქ მარცხის სიმწარე იწვნია ადგილობრივ „ლოკომოტივთან" — 0:7 (0:5).

ნიგერიელმა ფეხბურთელებმა წინა ორი შეხვედრაც წააგეს: მინსკის „დინამოსთან" — 0:3 და კოსტრომის „სპარტაკთან" — 1:2.

## II ლიგა III ზონა

3 ივლისს გამართული მორიგი ტურის მატჩებზე ჩვენი კორესპონდენტები ტელეფონით გვატყობინებენ:

### გორი

მასპინძლებმა აქტიურად დაიწყეს თამაში და ანგარიშის გახსნის შესაძლებლობა მიიღეს უკვე მე-19 წუთზე: გარღვევაზე გასულ პაპიაშვილს ბრიანსკის „დინამოს" მცველები უხეშად ეთამაშნენ, რისთვისაც მათს კარში პენალტი დაინიშნა. ბურჯანაძის მიერ ძლიერად დარტყმული ბურთი შესანიშნავად მოიგერია მეკარე ვისონკინმა.

იშვიათი გამონაკლისის გარდა „დილა" განუწყვეტლივ უტევდა, მაგრამ სწორედ ამ იშვიათი გამონაკლისისას წესი გორელთა კართან დაირღვა და 11-მეტრიანის დარტყმის უფლება ახლა უკვე ბრიანსკელებმა მიიღეს. მარუშკინმა ზუსტად დაარტყა — 1:0.

საჭირო შეიქნა საპასუხო ბურთის გატანისთვის ზრუნვა და, განახლდა თუ არა თამაში, ეს შეძლო მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა ხუციშვილმა. ცოტა ხნის შემდეგ კი ბუზალაძის ზუსტმა დარტყმამ დააწინაურა „დილა" — 2:1.

84-ე წუთზე სტუმრების მხარეს დანიშნული საჯარიმო კარგად გაითამაშეს მელაძემ და პაპიაშვილმა, რის შემდეგაც მესამე გოლი გავიდა.

მატჩი თითქოს ამ ანგარიშით უნდა დამთავრებულიყო, როცა ბოლო, 90-ე წუთზე, გორელთა კარის სიახლოვეს დაშვებული შეცდომით კარგად ისარგებლა ჟურნოვსკიმ და მატჩის საბოლოო ანგარიში გახდა 3:2 „დილის" სასარგებლოდ.

გ. გოზალიშვილი.

### ბათუმი

კრასნოდარის „ყუბანთან" დასანანი წაგების შემდეგ ბათუმის დინამოელებმა კოლექტიურად, საუკეთესოდ ითამაშეს ბელაია კალიტვას „კალიტვასთან".

დინამოელებმა, ფაქტიურად, მოგება პირველივე ტაიმში გაინაღდეს, როცა ქიქავას, კვიტაიშვილისა და რამიშვილის ზუსტი დარტყმების შემდეგ ბურთი სამჯერ აღმოჩნდა „კალიტვის" კარში.

52-ე წუთზე ქიქავამ მეოთხედ დააწყებინა მეტოქეს ცენტრიდან თამაში. გავიდა რამდენიმე წუთი და ესებუას წინააღმდეგ უხეში თამაშისთვის მასპინძელთა სასარგებლოდ პენალტი დაინიშნა. ჩხარტიშვილმა ძელს მოახვედრა ბურთი.

„კალიტვის" კარში მაინც აღმოჩნდა მეხუთე ბურთი, რომელიც სირბილაძე — კვიტაიშვილის კომბინაციის შემდეგ გავიდა.

კალიტველებმა „მშრალი" ანგარიშით წაგებას დააღწიეს თავი, როცა მეკარისა და მცველების უხეში შეცდომის შემდეგ მამედოვს ერთადერთი საპასუხო გოლის გატანის საშუალება მიეცა. თუმცა, არც ეს ანგარიში შემორჩა შუქფარს: ესებუას ზუსტი დარტყმის შემდეგ ანგარიში გახდა 6:1 ბათუმელთა სასარგებლოდ.

ო. მურვანიძე.

### ფოთი

მაიკოპის „დრუჟბასთან" შეხვედრა ფოთელებმა სწრაფ ტემპში, ძლიერი იერიშებით დაიწყეს.

ტაიმს შედეგი არ მოჰყოლია. შესვენების შემდეგ „კოლხეთმა" კიდევ უფრო გააძლიერა იერიშები, მაგრამ საკმარისი იყო პატარა შეცდომა დაცვაში და „კოლხეთის" მეკარე მარინთან პირისპირ გასულმა ელარდმა ზუსტად გაგზავნა ბურთი ბადეში — 1:0.

ამ მარცხს ფოთელებმა კიდევ უფრო ძლიერი იერიშებით უპასუხეს. რამდენიმე გამოუყენებელი მომენტის შემდეგ ჭედიამ მიიღო როხვაძის გადაცემა და თანაფარდობა აღადგინა — 1:1.

ენერგიულმა, მონდომებულმა თამაშმა ფოთელებს საბოლოოდ მაინც მოუტანა 2 ქულა: 70-ე წუთზე „დრუჟბის" საჯარიმო მოედანზე ბურთი ჩაიგდო სანაიამ, გადასცა იგი დოროხინს და გადამწყვეტი გოლიც გავიდა.

გაიმარჯვა „კოლხეთმა" — 2:1.

გ. ბასილაია.

### რუსთავი

ისევ და ისევ გვიხდება ლაპარაკი ადგილობრივ „მეტალურგზე". განვლილი წლების შეჯიბრებებში რუსთაველი ფეხბურთელები საუკეთესოდ თამაშობდნენ და ზონის ლიდერთა შორის იყვნენ, ახლა კი, ფაქტიურად, სახიფათო ზონაში არიან. ეტყობა, საჭიროა საგანგებო ზომები, რათა ამ კოლექტივმა თავი დააღწიოს ჩამორჩენას და უწინდელი სიძლიერით დაიცვას თავისი ქალაქის ღირსება.

განვლილ მატჩში რუსთაველებმა შინ მორიგი ქულა დაკარგეს ტირასპოლის „ზვეზდასთან" შეხვედრაში. მატჩის მოგება მათ შეეძლოთ თუნდაც იმით, რომ „ზვეზდას" კარში პენალტი დაინიშნა. მაგრამ ბერულავამ ეს შესაძლებლობა ვერ გამოიყენა — ბურთი კარს ააცდინა. ეს მოხდა თამაშის დასაწყისში. მასპინძლები კარგა ხანს ქაოსურად თამაშობდნენ. მდგომარეობა მხოლოდ ტაიმის დასასრულს გამოსწორდა, მაგრამ შედეგი მაინც არ ჩანდა.

შესვენების შემდეგ თავი იჩინა საერთო დაღლილობამ და გუნდები ისე წავიდნენ მინდვრიდან, გოლი არ გაუტანიათ.

რ. გაბრიჩიძე.

### სხვა მატჩები

ასე დამთავრდა: „გურია" (ლანჩხუთი) — „დინამო" (სოხუმი) 3:2, „მეტალურგი" (ლიპეცკი) — „მაშინოსტროიტელი" (პოდოლსკი) 0:2, „ტრუდი" (ვორონეჟი) — „ხიმიკი" (ნოვომოსკოვსკი) 2:1, „სალუტი" (ბელგოროდი) — „სპარტაკი" (ორიოლი) 3:2, „მერცხალი" (მახარაძე) — „ყუბანი" (კრასნოდარი) 1:0.

# სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაციის განცხადება

საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის (ფიდე) გადაწყვეტილების შესაბამისად, 2 ივლისს რეიკიავიკში უნდა დაწყებულიყო მატჩი ჭადრაკში მსოფლიო პირველობაზე მსოფლიო ჩემპიონ ბ. სპასკისა და პრეტენდენტ რ. ფიშერს შორის. მაგრამ მატჩის წინ ამერიკელმა დიდოსტატმა, სარგებლობდა რა ფიდე-ს ხელმძღვანელთა ზედმეტი ლმობიერებით, ეს უკვე მერამდენედ წამოიწყო შანტაჟი. იგი არ გამოცხადდა არც შეჯიბრების გახსნაზე და წილისყრაზე, რაც 1 ივლისს უნდა გამართულიყო, არც პირველი პარტიის სათამაშოდ.

ყოველივე ეს აღმაშფოთებელი ფაქტია ფიდე-ს წესების დარღვევისა, რაც არასოდეს მომხდარა სპორტის ისტორიაში. ფიშერის საქციელი დასაგმობია. ამერიკელი დიდოსტატი უდავოდ დისკვალიფიკაციას იმსახურებს. ამის მაგიერ ფიდე-ს პრეზიდენტმა მ. ეივემ თავის თავზე აიღო ფიშერის დამცველის როლი და, თუმცა არც ამერიკელი მოჭადრაკისგან, არც მისი რწმუნებულებისგან ოფიციალური თხოვნა არ მიუღია, მატჩის დაწყება ორი დღით გადადო. ეს გადაწყვეტილება მან ფიშერის ვითომდა თხოვნითა და ავადმყოფობით ახსნა.

შეიძლება მხოლოდ ვივარაუდოთ, რით ხელმძღვანელობდა ამ გადაწყვეტილების მიღებისას მ. ეივე, რომელიც არღვევს ამსტერდამის შეთანხმებას (პუნქტები მე-5, მე-6, მე-7 და მე-12) მსოფლიო პირველობაზე მსოფლიო ჩემპიონ ბ. სპასკისა და პრეტენდენტ რ. ფიშერის მატჩის გამართვის წესების შესახებ. ეს არღვევს ფიდე-ს წესებსაც (პუნქტი მე-5 ბ).

სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაცია სასტიკ პროტესტს აცხადებს მსოფლიო პირველობის გათამაშების წესების უხეში დარღვევის გამო. იგი ფიდე-ს აფრთხილებს, რომ თუ 4 ივლისს, ადგილობრივი დროით დღის 12 საათამდე არ იქნება მიღებული ზომები ფიდე-ს წესებისა და ამსტერდამის შეთანხმების მკაცრი დაცვისთვის, სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაცია მატჩს ჩაშლილად ჩათვლის, რაშიც ბრალი ფიდე-ს პრეზიდენტსა და ხელმძღვანელობას დაედება.

(საკდესი).

# იმედი კიდევ დარჩა

ბელგრადი, 3 ივლისი. იუგოსლავიის ჭადრაკის მესვეურმა, ტანიუგის სააგენტოს სპეციალურმა კორესპონდენტმა ბ. კაჟიჩმა რეიკიავიკიდან გადმოსცა:

კიდევ ერთ დღეს უნდა ვიცადოთ იმედით, რომ შეხვედრა, რომელსაც უკვე ამდენი ხანია საუკუნის მატჩს უწოდებენ, ბოლოს და ბოლოს, დაიწყება. ფიშერის ადვოკატი ა. დევისი კვირას პირველი თვითმფრინავით რეიკიავიკიდან ნიუ-იორკს გაფრინდა, რათა თავის კლიენტს შეაცვლევინოს ფატალური გადაწყვეტილება, რომელიც შეიძლება მისი საჭადრაკო კარიერის დასასრული გახდეს. დევისთან ერთად გაფრინდა ისლანდიელი მოჭადრაკე ტორბერგსონი, რომელმაც ამერიკელ დიდოსტატთან მოსალაპარაკებლად მანამდე რამდენიმეჯერ გადასერა ატლანტის ოკეანე. ნიუ-იორკში მათ შეუერთდებიან დოქტორი სეიდი და ამერიკელი მოჭადრაკე ლომბარდი (მაიგან მხოლოდ სეიდმა იცის ფიშერის ამჟამინდელი ადგილსამყოფელი). მათ მაინცდამაინც არც სჯერათ თავიანთი მისიის წარმატებით დამთავრებისა.

რეიკიავიკში ამერიკელთა წარმომადგენლებმა სცადეს ფიშერის ჩამოუსვლელობა მისი ავადმყოფობით აეხსნათ. ყველამ გაიგონა, როგორ უკარნახებდა სეიდი ნიუ-იორკიდან ტელეფონით რეიკიავიკში ექიმ ტორლეისონს ფიშერის ავადმყოფობის დიაგნოზს. მაგრამ ჩვენ ყველა გაოცდა, როცა თვით ფიშერმა ამერიკელ დიდოსტატ ბირნს ტელეფონით უპასუხა, რომ მშვენივრად არის და მისი ჩამოუსვლელობის მიზეზია არა ავადმყოფობა, არამედ ორგანიზატორების უარი ფინანსური მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე.

ორგანიზატორები ფინანსური კატასტროფის წინაშე არიან, ვინაიდან მატჩის მომზადებას დაახლოებით 50 ათასი დოლარი დახარჯეს. პანიკამ მოიცვა საქმოსნებიც, რომლებმაც იყიდეს დარბაზში გადაღების, პარტიების სვლების გადაცემისა და სხვა უფლებები. ცუდ გუნებაზე არიან ისინიც, ვინც გაბედა და ჩრდილოეთის დედაქალაქისკენ შორეულ გზას გაუდგა მსოფლიოს ორი უძლიერესი მოჭადრაკის შეხვედრის სანახავად.

მატჩის ორგანიზატორებმა გამოაცხადეს, რომ ფიშერს სასამართლოში უჩივლებენ და ზარალის ანაზღაურებას მოსთხოვენ. მაგრამ ფიშერს ხელი არ მოუწერია არც ერთ ვალდებულებაზე: არც მატჩის შესახებ შეთანხმებაზე ამსტერდამში, არც რეიკიავიკში გაგზავნილ დეპეშაზე, რომლითაც იქ ჩასვლას იუწყებოდა, არც რომელიმე სხვა საბუთზე... (საკდესი).

# პრეტენდენტის „გამოცხადება"

რეიკიავიკი, 4 ივლისი. დღეს დილით, ხანგრძლივი დავიდარაბის შემდეგ, რამაც მატჩის ორგანიზატორებს ბევრი მღელვარე საათი განაცდევინა, ამერიკელი დიდოსტატი რ. ფიშერი ისლანდიის ავიაკომპანიის თვითმფრინავით ჩამოვიდა რეიკიავიკში, სადაც 2 ივლისს მისი მატჩი უნდა დაწყებულიყო ჭადრაკში ამჟამინდელ მსოფლიო ჩემპიონ ბ. სპასკისთან.

მაინც რატომ გამოცხადდა ისლანდიის დედაქალაქში ფიშერი, თუმცა რამდენიმეჯერ, წინადღითაც კი ამბობდა, რომ მატჩში მონაწილეობას არ მიიღებს, თუ შეჯიბრების მომწყობნი მის ჰონორარს არ გაზრდიდნენ შესასვლელი ბილეთების გაყიდვიდან შემოსული მოგების 30 პროცენტის შესაბამის თანხამდე? საორგანიზაციო კომიტეტმა ამაზე ხომ საბოლოოდ უთხრა უარი პრეტენდენტს, ვინაიდან, როგორც სამართლიანად შენიშნა საორგანიზაციო კომიტეტის წევრმა გ. ეინარსონმა, „ეს იქნება სახიფათო პრეცედენტი, თუ ჩვენ ფიშერს მხარს დავუჭერთ: პრეტენდენტი ჭადრაკს სიკვდილით ემუქრება, როცა დაჟინებით მოითხოვს საკუთარი პირობების დაკმაყოფილებას".

ეჭვი არ არის, რომ ფინანსურ საკითხებში ზედაჟინებულ დიდოსტატზე იმოქმედა სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაციის მიერ 3 ივლისს გაკეთებულმა განცხადებამ, რომელშიც პირდაპირ და არაორაზროვნადაა ნათქვამი: პირველი — ფიდე-ს წესები ისევ, უკვე მერამდენედაა დარღვეული, როცა მატჩის დაწყება ორი დღით გადადეს და, მეორე — თუ 4 ივლისს 12 საათამდე ადგილობრივი, ესე იგი, რეიკიავიკის დროით (15 საათამდე მოსკოვის დროით) არ იქნება მიღებული ზომები ზემოაღნიშნული წესებისა და ამსტერდამის შეთანხმების მტკიცედ შესრულებისთვის, სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაცია მატჩს პრეტენდენტისა და ფიდე-ს ხელმძღვანელობის მიზეზით ჩაშლილად ჩათვლის აქედან გამომდინარე ყველა შედეგით.

ფიშერზე უეჭველად იმოქმედა სპასკის სიტყვებმაც, რომელმაც უარყო ხმები, თითქოს მან ნება დართო გადაედოთ მატჩის დაწყება. პრეტენდენტზე ამავე დროს იმოქმედა, ფიდე-ს პრეზიდენტის მ. ეივეს აღიარებამ, რომ ჩემპიონს მართლაც არ მიუცია ასეთი ნებართვა, თავად ეივეს გადაწყვეტილება შეჯიბრების სტარტის გადადების თაობაზე კი, როგორც იუპის სააგენტო სიტყვა-სიტყვით გადმოცემს, „მთლად კანონიერი არ იყო, მაგრამ ეს იმიტომ გავაკეთე, რადგან მიმაჩნია, რომ ჩვენ არ შეგვიძლია ზიანი მივაყენოთ აქ, ისლანდიაში, ამდენ ხალხს, აგრეთვე, ჭადრაკის თამაშს, კვირას ერთი ხელის მოსმით რომ გაგვეუქმებინა მატჩი".

ამავე დროს, რეიკიავიკში ცნობილი გახდა, რომ ფიშერზე ალბათ ინგლისელი ბანკირის ჯიმ სლეიტერის დაპირებამაც იმოქმედა, რომელმაც საკუთარი სახსრებიდან აღუთქვა მატჩის ორგანიზატორებს საპრიზო ფონდის გადიდება.

ასეა თუ ისე, ფიშერი რეიკიავიკშია. ადგილობრივი დროით 12 საათზე წილისყრაა დანიშნული. (საკდესი).

19$^{45}$

◆ რეიკიავიკი, 4 ივლისი. ბ. სპასკი — რ. ფიშერის მატჩის წილისყრა და პირველი პარტია დღეს არ გამართულა, ვინაიდან მსოფლიო პირველობის მაძიებელი, ამერიკელი დიდოსტატი ფიშერი წილისყრაზე არ გამოცხადდა.

მსოფლიო ჩემპიონმა ამის თაობაზე გააკეთა სპეციალური განცხადება, რომელშიც პრეტენდენტის სამართლიანი დასჯა მოითხოვა. სხვათა შორის, მან აღნიშნა, რომ ფიშერის დროულად ჩამოუსვლელობა მატჩის საზეიმო გახსნაზე მეტოქისა და შეჯიბრების ორგანიზატორთა შეურაცხყოფაა.

## ფიშერის ჟინიანობას საზღვარი არა აქვს ■ სპასკი პრეტენდენტის სამართლიან დასჯას მოითხოვს



# აიბა შფოთავს, დელავს, იცინის...

ამ ოთხი წლის წინ ჰენკ აიბამ მეხიკოში ჩაიყვანა გუნდი, რომელმაც დამაჯერებლად მოიგო I ადგილი და ოქროს მედლები. ვინ არის ჰენკ აიბა? შეერთებულ შტატებში მას კალათბურთის პროფესორს უწოდებენ. იგი საკმაოდ ხნიერია (ყოველ შემთხვევაში, გარეგნულად ასეთ შთაბეჭდილებას ახდენს), ექსპანსიური, ზოგჯერ უხეში, მაგრამ კალათბურთელთა შორის სიმპათიითა და სიყვარულით სარგებლობს. მატჩის მსვლელობის დროს აიბა გამუდმებით ცქმუტავს, უცებ წამოვარდება სკამიდან, რაღაც სიტყვებს წამოისვრის მხოლოდ მისთვის გასაგებ ენაზე, აყვირდება, გაცეცხლდება, მაგრამ უცბადვე მშვიდდება. წამიერი დეპრესიის მომენტში იგი ან იცინის, ან თავჩაღუნული ზის სკამზე და გაუგებარ სიტყვებს ბუტბუტებს.

აიბას მიმართ მსაჯები ლმობიერებას იჩენენ, ვინაიდან იგი არასდროს ეწინააღმდეგება მათს გადაწყვეტილებას და საეჭვო სიტუაციაშიც კი თავის მოთამაშეებს ამტყუნებს. ასეთი ობიექტურობა იშვიათია მწვრთნელებში და მსაჯებიც მას ღირსეულად აფასებენ. აიბას ემოციური აღგზნება მუდამ ამა თუ იმ კონკრეტული მომენტის შედეგია. იგი საყვედურს ეუბნება მოთამაშეს, რომელმაც გადაცემა დააგვიანა, ვერ გამოიყენა ხელსაყრელი მომენტი ან სხვა ტაქტიკური ხასიათის შეცდომა დაუშვა. გამოცდილი მწვრთნელი და თეორეტიკოსი, რა თქმა უნდა, მუდამ მიტს ამჩნევს, ვინდრე ბრძოლის აზარტში შესული კალათბურთელიბი. აიბა კი ბუზღუნებს: ოლიმპიური ჩემპიონი მარტივ შეცდომებს არ უნდა უშვებდეს.

1970 წელს ლიუბლიანაში მსოფლიო პირველობაზე იგი არ ჩამოჰყვა აშშ-ს ნაკრებს. აიბა შტატებში დარჩა ძირითად ოლიმპიურ გუნდთან სამუშაოდ. იუგოსლავიაში ჩავიდა მისი ერთ-ერთი თანაშემწე, რომელმაც პრეს-კონფერენციაზე ასეთი რამ განაცხადა: „შეფი მხოლოდ ოლიმპიური სამზადისითაა დაკავებული, ჩვენ კი, ფაქტიურად, მზვერავებისა და მეთვალყურეების როლში ვართ, თანაც დავალებული გვაქვს შევაგროვოთ ინფორმაცია ევროპის კალათბურთზე".

ამერიკელები ოთხი წელია ემზადებიან მიუნჰენისთვის. პრესა ფართოდ აშუქებს ამ სამზადისს და, რა თქმა უნდა, იმედის თვალით შეჰყურებს მომავალს, მაგრამ ბოლო ამბებმა მას ერთგვარად შეურყია რწმენა. ყველაფერი დაიწყო სსრ კავშირში შეერთებული შტატების ნაკრების სტუმრობით. ამერიკელები არ მოელოდნენ ასეთ მარცხს. ისინი გაკვირვებული შეჰყურებდნენ აიბას, რომელიც მრავლისმეტყველად ღიმებოდა, მაგრამ კომენტარისგან თავს იკავებდა. აიბა საერთოდ მისტიკის მოყვარულია და თავის საქმიანობას მუდამ საიდუმლოდ ინახავს. სხვა თავის კოლეგებისგან განსხვავებით, იგი ერიდება ჟურნალისტებთან კონტაქტს და თითქმის არასდროს ეგება მათ ანკესზე.

მაგრამ უკმაყოფილება სულ უფრო ღვივდებოდა. ერთხანს გაზეთები ასე თუ ისე დუმდნენ, მაგრამ ევროპის ნაკრებთან ოთხი მწარე დამარცხების შემდეგ ახმაურდნენ. აი, სწორედ მაშინ აიბას, რომელიც საჰაერო ფლოტის აკადემიის (კოლორადო-სპრინგსში) ოლიმპიური ბაზის კედლებს იყო ამოფარებული, საჯაროდ გამოსვლა და თავის მართლება მოუხდა. აიბასგან ელოდნენ პასუხს და ეს სიტყვაძუნწი მოხუცი ბოლოს და ბოლოს ამეტყველდა. მაგრამ მან ლაპარაკი არ იცის და ჟურნალისტებს მხოლოდ მშრალი ინფორმაცია მისცა ოლიმპიურ ნაკრებზე.

ძირითადი დამრტყმელი ძალა ნაკრებში, აიბას აზრით, გიგანტი ტ. ბიორლესონია (ჩრდილოეთ კაროლინის შტატიდან). იგი ტანად 220 სანტიმეტრია, საკმაოდ მოძრავი და ფიზიკურად ძლიერი ათლეტი. ბიორლესონის გარდა ნაკრებში შვიდი მოთამაშეა ჩარიცხული, რომელთა სიმაღლე ან 2 მეტრია, ან მეტი. ესენი არიან: ს. ნეიტერი (210 სმ), მ. ბენტემი, ჯ. ბრუერი, ჯ. ბრაუნი, ტ. ჰენდერსონი, ბ. და დ. ჯოუნსები (ყველა — 200 სმ). თორმეტ მოთამაშეს შორის ჰ. აიბამ დაასახელა, აგრეთვე, დ. კოლინსი, ე. რეტლეფი, კ. ჯონსი (ყველა — 190 სმ) და ქ. დევისი (180 სმ).

ძირითადი შემადგენლობა დაკომპლექტდა შვიდი შესარჩევი მატჩის შემდეგ. აი, სწორედ მაშინ შეჯამდა საბოლოოდ ნაკრების წევრთა პოტენციური შესაძლებლობანი. ამ შეხვედრებში ყველაზე შედეგიანი თავდამსხმელი აღმოჩნდა ნეიტერი, რომელსაც თავისი გუნდისთვის ყოველ მატჩში საშუალოდ 21 ქულა მოჰქონდა. აიბას ახლანდელი ნაკრების მთავარ ღირსებად მიაჩნია სამი რამ: სისწრაფე, ზუსტი სროლა და ფარქვეშ ბრძოლის უნარი.

ამ ცნობებმა ამერიკის პრესა ერთგვარად დაამშვიდა. ყოველ შემთხვევაში, იმ ფაქტს, რომ ოლიმპიურ ნაკრებში სსრ კავშირსა და ევროპაში გამართულ ტურნეში დამარცხებული გუნდების არც ერთი წევრი არ არის შეყვანილი, გაზეთები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. „აიბას სიურპრიზები უყვარს, — თქვა ერთმა ჟურნალისტმა, — მიუნჰენის გუნდიც ალბათ მისი ერთ-ერთი სიურპრიზი იქნება".

ვნახოთ, გამართლდება თუ არა ეს იმედი.

ნ. ბუბუშვილი.

• • •

სურათზე: ჰ. აიბა მეხიკოს ოლიმპიადის დღეებში.



# ორი ინტერვიუ

ამას წინათ ბულგარულმა გაზეთმა „ნაროდენ სპორტმა" დაბეჭდა ჭოკით ხტომაში ევროპის ჩემპიონის, იენის ქარხანა „კარლ ცაისის" ინჟინერ ვ. ნორდვიგის და სახელგანთქმული შვედი მძლეოსნის ჰ. იზაქსონის ინტერვიუ.

ნორდვიგის ინტერვიუ ასეთია:

● **მიუნჰენის ოლიმპიადაში რა შანსები გაქვთ?**

— უკვე 29 წლისა ვარ ჩემი ასაკის სპორტსმენისთვის ჭოკით ხტომა იოლი როდია, მაგრამ ოლიმპიადაში წარმატების იმედს არ ვკარგავ, ვინაიდან ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ მომზადებას არ ვემდური.

● **როგორი იქნება ოლიმპიადაში გამარჯვებულის შედეგი?**

— თამაშებში ოქროს მედალს ის ჭოკით მხტომელი მოიპოვებს, რომელიც 550 სანტიმეტრ სიმაღლეს პირველივე ცდით გადალახავს. მე მგონია, მიუნჰენში მსოფლიო რეკორდი ამ სახეობაში არ დამყარდება: მედლებისთვის მებრძოლებს საამისოდ ძალა აღარ ეყოფათ.

● **რა მოთხოვნებს უყენებთ იდეალურ ჭოკით მხტომელს?**

— იგი უნდა იყოს ყოველმხრივ განვითარებული ათლეტი, როგორიცაა, მაგალითად, იზაქსონი, მაგრამ მასზე უფრო მაღალი, სულ ცოტა, 190-200 სანტიმეტრი სიმაღლისა.

იზაქსონს ჰკითხეს:

● **ბევრ სპეციალისტს მიაჩნია, რომ თქვენ ოლიმპიადისთვის მზადების პერიოდში საუკეთესო სპორტულ ფორმაში ადრე შეხვედით. რას იტყვით ამაზე?**

— არ ვიცი რას იტყოდა ჩემს ადგილზე მორბენალი ან მტყორცნელი, მაგრამ ჩემთვის საუკეთესო სპორტული ფორმის მიღწევა იოლი როდია. როცა ამ ფორმას ვაღწევ, ჩემგან დამოუკიდებლად თითქმის არასოდეს ვკარგავ. ესე იგი, თუ მიუნჰენში წავაგე, ამას სპორტული ფორმის დაკარგვას ნუ დააბრალებთ.

● **როგორი იქნება XX თამაშებში ჭოკით ხტომაში გამარჯვებულის შედეგი?**

იზაქსონი თითქმის ზუსტად ნორდვიგის მოსაზრებას იმეორებს, ოღონდ უმატებს, რომ, თუ სპორტსმენებს ზურგქარი დაეხმარა, 550 სანტიმეტრის დაძლევა ბრინჯაოს მედლისთვისაც არ ეყოფათ.

● **ვინ მიგაჩნიათ ოლიმპიადის ფავორიტებად?**

— ნორდვიგი, ამერიკელები სიგრენი და სმითი, ფრანგი ტრაკანელი, იტალიელი დიონისი და, რა თქმა უნდა, საკუთარი თავი.

# უიმბლდონის კორტებზე

ლონდონი, 4 ივლისი. შერეულ წყვილთა მესამე წრეში მოსკოველმა ო. მოროზოვამ და თბილისელმა ა. მეტრეველმა მორიგ წარმატებას მიაღწიეს: საბჭოთა ჩოგბურთელებმა სძლიეს ინგლისელებს ლ. ბლეჩფორდსა და ჯ. ლოიდს — 6:4, 6:4. მოროზოვა ქალთა წყვილების ტურნირის მეოთხე წრეშიც გავიდა (იგი ავსტრალიელი ლ. ჰანტის მეწყვილეა). შეჯიბრებას გამოეთიშა ბაქოელთა შერეული დუეტი: ე. ბირიუკოვა და ს. ლიხაჩოვი. მათ წააგეს ამერიკელებთან კ. ევერტთან და ე. ვან დილენთან — 3:6, 5:7. წინა წრეში ბაქოელებმა მოუგეს დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლებს ს. ჰოლდსვორტსა და ს. მეტიუზს (და არა ს. მატჰევსს, როგორც ეს შეცდომით გადმოგვცა საკდესმა).

# ოლიმპიადა-72

● ვარშავა, 3 ივლისი. ვ. პიტლიასინსკის მემორიალმა აქ 14 ქვეყნის 105 „კლასიკოსს" მოუყარა თავი. შეჯიბრებაში კარგად გამოვიდნენ საბჭოთა მოჭიდავეები: ლაურეატები გახდნენ სარატოველი ვ. ჩავკა (48 კგ-მდე), ულიანოვსკელი ი. სოკოლოვი (57 კგ-მდე), მოსკოვის ოლქის წარმომადგენელი შ. ხისამუტდინოვი (68 კგ-მდე) და ომსკელი ა. კოჩნევი (100 კგ-ს ზევით). II ადგილები დაიკავეს კრასნოიარსკელმა ა. შუმაკოვმა (48 კგ-მდე) და კრასნოდარელმა ვ. კოსუხინმა (82 კგ-მდე), ხოლო III — კიროველებმა ვ. შატუნოვმა და ნ. ბოტევმა.

● პრაღა, 3 ივლისი. სპიდვეისტთა წლევანდელი მსოფლიო პირველობის ნახევარფინალში (23 ივლისი, ლენინგრადი) მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორთა — საბჭოთა მოტომრბოლელთა მეტოქეები პოლონეთის სპორტსმენთა გარდა ჩეხოსლოვაკიისა და გფრ-ის წარმომადგენლები იქნებიან. ჩეხოსლოვაკიისა და დასავლეთ გერმანიის სპიდვეისტებმა ეს უფლება პრაღის მოტოდრომზე გამართულ მეოთხედფინალურ სერიებში გამარჯვებით მოიპოვეს. მსოფლიო ჩემპიონატის ფინალი 24 სექტემბერს ჩატარდება დასავლეთ გერმანიაში. აქ ასპარეზობის უფლება უკვე განაღდებული აქვთ ინგლისისა და შვეციის ნაკრებ გუნდებს.

# პირველი სტარტების სიურპრიზები

იუჯინი (ორეგონის შტატი), 3 ივლისი. ამერიკის შეერთებული შტატების მძლეოსან ვაჟთა შესარჩევი შეჯიბრების პირველ ორ დღეს ერთი მსოფლიო რეკორდი დამყარდა და ორიც — გამეორდა. გარდა ამისა, გაუმჯობესდა აშშ-ს რამდენიმე რეკორდი. მოასპარეზეებს მთავარ სტიმულს შეჯიბრების ხასიათი აძლევდა: ამ ტურნირის შედეგების მიხედვით დაკომპლექტდება ქვეყნის მძლეოსან ვაჟთა ოლიმპიური გუნდი.

ორეგონის უნივერსიტეტის სტადიონის ტარტანის სარბენ ბილიკზე, როგორც ვიუწყებოდით, გამეორდა მსოფლიო რეკორდები 100 და 800 მეტრზე რბენაში. 35-გრადუსიან სიცხეში კალიფორნიელმა სტუდენტმა, 22 წლის ედი ჰარტმა (სიმაღლე 178 სმ, წონა 70,3 კგ) 100 მ 9,9 წამში გაირბინა. ასეთივე შედეგს მიაღწია ფლორიდელმა სტუდენტმა, 19 წლის რეი რობინსონმა. მათი მაჩვენებლები ჯიმ ჰაინსის, ჩარლზ გრინისა და რონი რეი სმითის მსოფლიო რეკორდის გამეორებაა.

სიურპრიზი იყო 800 მეტრზე რბენაში გრძელფეხება დეივ უოთლის (სიმაღლე 186 სმ, წონა 63,5 კგ, 21 წლისა) გამარჯვება. ფინიშის სწორზე მან 1500 მეტრზე და ერთ მილზე რბენაში მსოფლიო რეკორდსმენს, მეხიკოს ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორს ჯიმ რაიანს გაუსწრო და მსოფლიო რეკორდი გაიმეორა — 1.44,3. ამერიკის გუნდში ადგილები გაინაღდეს, აგრეთვე, დიკ უოლჰიუტერმა (1.45,6) და კენ სვენსონმა (1.45,1). ექვსმა სპორტსმენმა ეს მანძილი 1 წუთსა და 46 წამზე უკეთეს დროში გაირბინა.

ჭოკით მხტომელთა შეჯიბრებაში, სადაც ბობ სიგრენმა მსოფლიო რეკორდი დაამყარა (563 სმ), ორმა მძლეოსანმა გადალახა 550 სმ, ოთხმა — 540, ხოლო საკვალიფიკაციო ნორმა — 510 სმ 22 მხტომელმა შეასრულა.

400 მეტრზე თარჯრბენში ამერიკის რეკორდით გაიმარჯვა რალფ მანმა — 48,4 (მეორე შედეგი მძლეოსნობის ისტორიაში). მას ფინიშთან მიჰყვნენ დიკ ბრუგმანი (48,6) და ჯიმ სეიმური (49,3).

სამხტომში I ადგილი დაიკავა ჯონ კრაფტმა (17,12 მ), მაგრამ შეერთებული შტატების რეკორდსმენი გახდა II ადგილზე გასული დეივ სმითი — 17,07 (კრაფტის ხტომის მომენტში ძალიან ძლიერი ზურგქარი ქროდა).

3000 მეტრზე წინაღობებით რბენაში მაყურებლებმა (მათ კი სტადიონზე მრავლად მოიყარეს თავი — 14 ათასამდე) პრიზიორთა შორის ვერ იხილეს ვერც აშშ-ს რეკორდსმენი სიდ სინკი, ვერც ჯო ლუკასი, რომელსაც ამერიკელ მორბენალთა შორის წლევანდელ საუკეთესო შედეგი აქვს. გაიმარჯვა მაიკ მანლიმ — 8.29,7. სინკი და ლუკასი ფინალურ გარბენს კუდში მოექცნენ და ოლიმპიურ ნაკრებში მოხვედრის იმედი დაკარგეს.

10000 მეტრზე რბენა მოიგო ფრენკ შორტერმა — 28.35,6.

ბადროს მტყორცნელთა შორის უძლიერესი აღმოჩნდა ორი ოლიმპიადის მონაწილე, მსოფლიო რეკორდსმენი ჯეი სილვესტრი — 64,36 მ.

20 კილომეტრზე სპორტულ სიარულში ყველას აჯობა ლარი იანგმა — 1:35.56,4.

შეჯიბრება 9 ივლისამდე გასტანს.



△ ტოკიო. უმჩატესი წონის პროფესიონალ მოკრივეთა მსოფლიო ჩემპიონმა, იაპონელმა მ. ოხბამ აქ მეხუთე რაუნდში ტექნიკური ნოკაუტით დაამარცხა ჩემპიონობის მაძიებელი, პანამელი ო. ამორესი.

△ პოტსდამი. გდრ-ის მძლეოსანთა აქ გამართულ შეჯიბრებაში ი. დრეხელმა სამხტომში 17,20 მ აჩვენა და 7 სანტიმეტრით გააუმჯობესა თავისი ქვეყნის რეკორდი, რომელიც მანვე 1970 წელს სტოკჰოლმში დაამყარა.

რედაქტორი მ. ქაქაბაძე.

**თბილისი სპორტულ ვაჭაში**

კალათბურთი. სპორტის სასახლე. 8-13 ივლისი. სტუდენტთა VI საზაფხულო სპორტული თამაშები. მონაწილეობენ სსრ კავშირის უმაღლესი სასწავლებლების ქალთა და ვაჟთა უძლიერესი გუნდები. დასაწყისი: 8-9 ივლისს — 10 ს., 10-13 ივლისს — 15 ს.